საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიდეგანის ქედი

კიდეგანის ქედი, აღმ. კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთი განშტოება. საქართველოს ფარგლებში შემოდის მისი მხოლოდ აღმ. ფერდობი. ქედი მდ-ების – ასისა და არმხის წყალგამყოფია. უმაღლესი მწვერვალია ახიელისმაღალი (4274 მ). სხვა მწვერვალებია: კიდეგანისმაღალი, გველისმთა, სახარისმაღალი, ჭიმღისმაღალი, ვაჟა-ფშაველას მწვერვალი, თათელისმაღალი და სხვ. მნიშვნელოვანი უღელტეხილებია: არხოტისთავისღელე, სახარისღელე, საჯიხვისღელე და სალაშქროსღელე. აგებულია იურული თიხაფიქლებით. ორივე კალთაზე ჩამოწოლილია მყინვარები. ახასიათებს მთა-მდელოსა და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი. ამგებელი ქანების ლითოლოგიურმა სირბილემ ხელი შეუწყო ფერდობების ძლიერ დანაწევრებას.

ლ. მარუაშვილი